საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“
#3 სხდომის ოქმი 6.10.2014

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

<u>**შეხვედრის მონაწილეები:**</u>

#	სახელი, გვარი	თანამდებობა
1.	ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თავმჯდომარე
2.	დავით ლომიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ თანათავმჯდომარე
3.	ელენე ჯიბლაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
4.	გაიოზ თალაკვაძე	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი
5.	თენგიზ შერგელაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
6.	ელგუჯა მელაძე	„პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ წარმომადგენელი; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
7.	დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
8.	ანა მარტინენკო	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
9.	გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10.	გიორგი მაჩაბელი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
11.	მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
12.	კახაბერ დაუშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტების კოორდინატორი

13.	სერგო თურმანიძე	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრი (AMC)
14.	შტეფან შტორკი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
15.	ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
16.	გიორგი კოპალეიშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA)
17.	ნათია კვიციანი	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
18.	თამარ ქიტიაშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
19.	ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
20.	კახა საკანდელიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები:

1. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში - თამარ ქიტიაშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" განხორციელების შესახებ ანგარიში - კახა საკანდელიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი;
3. პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ტექნიკური დახმარების კომპონენტის ფარგლებში მიმდინარე ტენდერის შესახებ მოხსენება - ნინო ყოჩიშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
4. დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხის განხილვა;
5. საბჭოს სამდივნოს საკითხის განხილვა;

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხი ეხებოდა პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლების“ პოლიტიკის მატრიცის მეორე ტრანშით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერები სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველმა ბატონმა კახაბერ საკანდელიძემ წარმოადგინეს

პროგრამის განხორციელების ანგარიში და დეტალურად ისაუბრეს შესრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე/ღონისძიებებზე.

ბატონი კახაბერ საკანდელიძე შეეხო შრომის ბაზრის კვლევის საკითხებს, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის პოლიტიკის ფორმირებისას და გამოთქვა მზაობა კიდევ უფრო ინტენსიურად ითანამშრომლოს დარგობრივ უწყებებთან აღნიშნული მიმართულებით.

ბატონმა დავით ლომიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოხდეს შრომის ბაზრის კვლევის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რათა დაინტერესებულ მხარეებთან შეჯერდეს მოსაზრებები კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. ბატონმა კახაბერ საკანდელიძემ აღნიშნა, მათი ძირითადი სახელმძღვანელო კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისას არის ისკოს სტანდარტები, თუმცა ვინაიდან აღნიშნული სტანდარტები ძალიან მრავალფეროვანია, სწორედ სამუშაო ჯგუფში უნდა მოხდეს განსაზღვრა ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე თუ რომელი მიდგომების გამოყენება და დანერგვა იქნება მიზანშეწონილი.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა მოიწონა სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი და გამოთქვა მოსაზრება, რომ სამუშაო ჯგუფში აუცილებლად უნდა ჩაერთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიც, ვინაიდან ეს უწყებაა პასუხისმგებელი დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირებასა და პროფესიული სტანდარტების შემუშავებაზე.

ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა, საბჭოს მიმდინარეობისას წამოჭრა კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების საკითხი და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ორივე სამინისტროს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების) ეგიდით უნდა ხორციელდებოდეს. ქალბატონი ქეთევანი დაეთანხმა და დასძინა, რომ გარდა ზემოთ ხსენებული სამინისტროებისა, აღნიშნულ საკითხზე მუშაობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც, რომლის ჩართულობა სამუშაო ჯგუფში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წელს შეიმუშავა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკა და მიმდინარეობს აღნიშნული მიდგომის განხორციელება, კერძოდ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის პილოტირება ოთხასამდე სკოლაში, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტროს ფუნქციური პროფილის გათვალისწინებით პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებზეა ფოკუსირებული, მაშინ როდესაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესამუშავებელი კონცეფცია ძირითადად ზრდასრულთა ინტერესებს გულისხმობს და ევროკავშირის პროგრამის მატრიცაც მას უწყვეტი განათლების კონტექსტში მოიაზრებს. შესაბამისად, საინტერესო იქნება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ყველა დაინტერესებული

მხარის მონაწილეობით ერთიან ფორმატზე შეთანხმება, რომელიც იქნება არა რომელიმე სამინისტროსი, არამედ ქვეყნის ხედვა/კონცეფცია კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების მიმართულებით.

ევროკომისიის წარმომადგენელი ბატონი სტეფან შტორკი მიესალმა დამსწრე აუდიტორიას და მადლობა გადაუხადა გამომსვლელებს საინტერესო პრეზენტაციებისთვის. მისი თქმით, პროექტის პირველადი შედეგი უკვე სახეზეა, ვინაიდან ვსაუბრობთ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ჩართულობის საჭიროებაზე, პროგრამის ერთ-ერთ მიზანსაც სწორედ პროგრამის ჰორიზონტალურ დონეზე განხორციელება წარმოადგენდა.

ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა ისაუბრა „დასაქმებისა და პროფესიული განათლების" ტექნიკური დახმარების პროექტის მიმდინარეობაზე. აღნიშნა, რომ ტექნიკური დახმარება მოიცავს სამ კომპონენტს:

პირველი კომპონენტი ეხება სერვის-კონტრაქტს, რომლის ფარგლებშიც კომისიის მიერ შეირჩა განმახორციელებელი ორგანიზაცია (ორგანიზაციის გასაჯაროვება თვის ბოლოს მოხდება). მეორე კომპონენტი გულისხმობს - ტვინინგს, რომლის ძირითად ბენეფიციარს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ამ ეტაპზე წარმოდგენილია 5 საკონკურსო წინადადება, რომელთა განხილვაც მოხდება ევროკავშირის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, იგი მოიცავს საკონკურსო/საგრანტო შეთავაზებებს არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ამ მიმართულებით მიმდინარეობს გაიდლაინების შემუშავება და წლის ბოლოსთვის დაგეგმილია კონკურსის გამოცხადება.

ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ პირველი ტრანშის ჩარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში მიმდინარე წლის ივნისში განხორციელდა, ხოლო მეორე ტრანშით გათვალისწინებული პირობების შესრულების შუალედური შეფასება ოქტომბრის თვეშია დაგეგმილი. მისივე თქმით, განათლების ექსპერტები 16 ოქტომბერს, ხოლო დასაქმების საკითხებზე მომუშავე ექსპერტები კი 20 ოქტომბერს დაიწყებენ შუალედური მისიის განხორციელებას. ამასთან, თვის ბოლოს ევროკომისიის დახმარებით დაგეგმილია სემინარი სამოქმედო გეგმის განფასების საკითხებზე, რომელსაც დაესწრებიან ბენეფიციარი სამინისტროების წარმომადგენლები.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა ევროკომისიის წარმომადგენლებს საინტერესო მოხსენებისთვის და კვლავ წამოჭრა სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხი. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ ორი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებაზე:

1) პროფესიული განათლების მიღების მსურველთა კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობის სურვილიც გამოთქვეს შემდეგმა უწყებებმა/ ორგანიზაციებმა:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ევროკომისიის წარმოამდგენლობა საქართველოში;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

2) შრომის ბაზრის კვლევისა და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემების (LMIS) საკითხებზე ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც იქნებიან შემდეგი უწყებების/ ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
- ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა წამოჭრა დამკვირვებლის სტატუსით სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამატების საკითხი, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსულია ოფიციალური მომართვები სახვადასხვა ორგანიზაციებიდან დამკვირვებლის სტატუსით საბჭოს წევრად დამატების თხოვნით. აღნიშნულ საკითხზე, საბჭოს წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ საბჭოს შემადგენლობაში დამკვირვებლის სტატუსით ორგანიზაციების დამატება არ იქნება მიზანშეწონილი და უმჯობესი იქნება თუ საბჭოსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე და ამ გზით მოხდება ერთის მხრივ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირება და მეორეს მხრივ, საბჭოს გამჭვირვალედ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა წამოჭრა საკოორდინაციო საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი, ვინაიდან დებულებაში არსებული ჩანაწერი მხოლოდ სამი ტიპის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა განმარტა, რომ ევროკავშირთან ხელშეკრულებაში და შემდეგ დებულების პროექტში ჯგუფების დასახელება მხოლოდ მაგალითისთვის მოხდა და არ ყოფილა დაგეგმილი სამუშაო ჯგუფების ჩამონათვლის შეზღუდვა, ამრიგად მეტი სიცხადისთვის უმჯობესია განხორციელდეს ცვლილება.

ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი დაეთანხმა ცვლილების საკითხს და აღნიშნა, რომ დებულების პროექტი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

ბატონმა კახაბერ საკანდელიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხორციელდა გარკვეული საკადრო ცვლილებები, აქედან გამომდინარე „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ მდივანად აღნიშნული სამინისტროდან დასახელდა შრომითი მიგრაციის რეგულირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ქრისტინა გოროდნიჩევა.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა.

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თავმჯდომარე

ქეთევან ნატრიაშვილი

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თანათავმჯდომარე

დავით ლომიძე

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სამდივნო:

ანა მჭედლიშვილი

ქრისტინა გოროდნიჩევა